დამტკიცებულია დირექტორის
12.01.2026 წლის N 20-01 ბრძანებით

კურიკულუმი „ **ვარსკვლავები**“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის

კურიკულუმის სტრუქტურა

შინაარსი

1. კურიკულუმის მიმოხილვა

2. კურიკულუმის მიზნები, ღირებულებები და ამოცანები

3.კურიკულუმის შინაარსი

4.გარემოს მოწყობის პრინციპი 0–დან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის

5. მეთოდოლოგია

6.საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

7. დაკვირვება, რეფლექსია და შეფასება ბავშვის ინდივიდუალური პროგრესისთვის

8. კურიკულუმის ეფექტიანობის ინდიკატორები

9. დასკვნა

10. გამოყენებული ლიტერატურა

1. კურიკულუმის მიმოხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესში, კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს დოკუმენტს, რომელიც ასახავს ბაღის პედაგოგიური ხედვის, მეთოდოლოგიისა და სტრუქტურის ძირითად მახასიათებლებს.წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კურიკულუმს 0-დან 2 წლამდე ასაკობრივი ბავშვებისათვის, რომელიც შეიქმნა საქართველოს ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებზე, ასევე რეჯიო ემილიას და კრეატიული კურიკულუმის მიდგომებზე დაყრდნობით და ეფუძნება კურიკულუმს,,თამაში" 2-დან 5წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფების ბავშვებისათვის.
კურიკულუმი გათვლილია ბაგა-ბაღისთვის, რომელიც მუშაობს სრული დღის რეჟიმით (09:00–19:00) და მიზნად ისახავს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.კურიკულუმი საგანმანათლებლო გარემოს ყველა ძირითად კომპონენტს მოიცავს:
მიზანი, ამოცანები და შედეგები.პასუხობს კითხვას: რისთვის, რა მიზნებს ემსახურება კურიკულუმი, შედეგად რას უნდა მივაღწიოთ. შინაარსი, მიმართულებეი. რა შინაარსით მიიღწევა მიზნები.

მეთოდები, პროცედურები. როგორ ხორციელდება ეს შინაარსობრივი კომპონენტი. რა მეთოდებს და მიდგომებს იყენებს შედეგების მისაღწევად. დაბოლოს, შეფასება. რა შედეგებს მიაღწია კურიკულუმმა.

კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს(12-36 თვემდე) ,რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების სფეროებსადა თემატურ მიმართულებებს და განსაზღვრავს, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი ადრეული და სკოლამდელი განათლების ფარგლებში.
და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლოაღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი).

2. კურიკულუმის მიზნები, ღირებულებები და ამოცანები

მიზანი:

კურიკულუმის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს **0-2 წლამდე ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას**, მათი ინტერესების, საჭიროებებისა და განვითარების ტემპის გათვალისწინებით. პროგრამა ემყარება რწმენას, რომ ამ ასაკში ბავშვი სწავლობს ურთიერთობით, მოძრაობით, შეგრძნებით და ყოველდღიური აქტივობების მეშვეობით.

მისი მიზანია, სოციალური, ემოციური, სენსო-მოტორული და შემოქმედებითი უნარების განვითარება, დამოუკიდებლობისა და თვითმოვლის უნარ-ჩვევების გამომუშავება, ენისა და მეტყველების განვითარება.

ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სადაც ბავშვები თამაშით, კვლევითა და ურთიერთობით შეიმეცნებენ საკუთარ თავებსა და სამყაროს. სახელმძღვანელო დოკუმენტი **„თამაში: 2-დან 5 წლამდე ბავშვებისთვის“** ხაზს უსვამს თამაშის პრინციპზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც სრულიად შეესაბამება იმ საჭიროებებს, რაც აღენიშნებათ 0-2 წლის ბავშვებსაც. ამ ასაკში **თამაში წარმოადგენს ძირითადი კომუნიკაციის, თვითგამოხატვისა და სწავლის ინსტრუმენტს**, ვინაიდან თამაში არ არის მხოლოდ გართობა – ის არის ინტელექტუალური, ემოციური და სენსომოტორული განვითარების ბუნებრივი გზა. წარმოდგენილი კურიკულუმი სწორედ ითვალისწინებს თამაშის, მოძრაობის, დაკვირვებისა და პირდაპირი ინტერაქციის მნიშვნელობას, რაც ორგანულად აისახება პროგრამაში.

კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს – კვლევა და აღმოჩენა და ჯგუფის ერთობა, ცალკეული უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობით.

ჯგუფის ერთობა მოიცავს როგორც ბავშვების ინდივიდუალურ, სოციალურ, ემოციურ, კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვას, ისე ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობას და ერთ მთლიან გუნდად ჩამოყალიბებას.

კვლევა-აღმოჩენა კვლევის უნართან ერთად ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებით უნარებს აერთიანებს. ეს, თავის მხრივ, ისეთ, კიდევ უფრო კონკრეტულ უნარებში ვლინდება, როგორიცაა: ინტერესი სიახლის მიმართ, კითხვების დასმა, ვარაუდების გამოთქმა, ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე, ექსპერიმენტირება, კლასიფიკაცია, შედარება, მიზეზ-შედეგობრიობა, ანალიზი, კრიტიკული აზროვნება.

კურიკულუმი, მიუხედავად მასში მკაფიოდ გამოკვეთილი ორი მიზნისა, ჰოლისტურია და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, ისევე, როგორც ზოგადად ადრეული განათლება, რათა ფართო და მყარი საფუძველი შეუქმნას ბავშვის სწავლასა და კეთილდღეობას.

კურიკულუმში ორი მიზნის გამოყოფა არ აკნინებს სხვა სფეროების ღირებულებას, პირიქით, ეს მიზნები სხვადასხვა უნარების განვითარებით მიიღწევა.

ღირებულებები

- ბავშვი არის სწავლა-განვითარების ცენტრალური აქტორი;
- სწავლა ხორციელდება თამაშით, კვლევითა და ემოციების გამოხატვით . ბავშვის მიერ ინიცირებული თამაში სახალისო და საინტერესოა
- გარემო განიხილება როგორც „მესამე მასწავლებელი“;.
- ინტერესი და ინიციატივა – ბავშვისგან, მხარდაჭერა – აღმზრდელისგან;
- ხარისხიანი განათლება ინკლუზიურია
- განვითარება ჰოლისტურია

- მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლისა და განვითარების პირობაა
- ოჯახებთან პარტნიორობა ბავშვებთან მუშაობას უფრო შედეგიანს ხდის
- ეფექტური პრაქტიკა წინასწარ გამიზნული და მოქნილია

.

ამოცანები:

- ბავშვის ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და მხარდაჭერა;
- ბავშვის ჰოლისტური განვით არების ხელშეწყობა;
- დამოუკიდებლობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განცდის ჩამოყალიბება;
- მშობლებთან თანამშრომლობის გამყარება;
- რუტინის, სტრუქტურირებული და თავისუფალი თამაშების დაბალანსება.

3.კურიკულუმის შინაარსი

საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, რომ ბავშვები მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობდნენ და სხვადასხვა რესურსის გამოყენების საშუალება ჰქონდეთ. ამ მხრივ, თემატური მიმართულებები – ხელოვნება, მეცნიერება, წიგნიერება– მრავალფეროვან გამოცდილებას ნამდვილად უზრუნველყოფს. საგანმანათლებლო პროცესზე ფიქრისას, სამივე მიმართულების გათვალისწინებით, აღმზრდელი ამ პროცესს ბავშვისთვის გაცილებით საინტერესოს და მომხიბვლელს ხდის და ამავდროულად, კურიკულუმის მიზნებზეც გადის.

1-დან 2წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ხელოვნება - ეს არის სამხატვრო მასალებით თამაში, სენსორული გამოცდილებით სიამოვნების მიღება. ამ ასაკში ბავშვები საერთოდ არ ფიქრობენ, რა პროდუქტს შექმნიან საბოლოო ნამუშევრის სახით. ისინი იღებენ სიამოვნებას პროცესით - მოსწონთ, როგორ იცვლის წყალი ფერს საღებავის შერევისას, როგორ ტოვებს ფუნჯი ფერად კვალს ფურცელზე, როგორ იჭყლიტება დარბილებული პლასტილინი და ა.შ.

ამ ასაკში ბავშვი დრამატულ უნარს ამჟღავნებს, როცა თამაშობს ფუმფულა სათამაშო ცხოველებით ან თოჯინებით, ყურადღებას ამახვილებს უფროსების ჟესტებზე, მიმიკებზე და ცდილობს მათ გამეორებას. ბავშვს იზიდავს ნამდვილი საგნებით ან რეალისტური სათამაშოებით თამაში; მოსწონს, როცა უფროსი თოჯინახელთათმანებს ახმოვანებს, თვითონაც ცდილობს მიბაძვას.

1-2 წლ.ასაკის ბავშვისთვის მუსიკა არის საყვარელი მელოდიის ღიღინი, სხვადასხვა საგნის ჟღერადობაზე ზოგადად, ხმაურზე, დაკვირვება - ბავშვი ურტყამს ერთმანეთს საგნებს, ანჯღრევს, ხელს უტყაპუნებს, უკაკუნებს და თან აკვირდება, რა ხმებს გამოსცემს ესა თუ ის ნივთი; სიამოვნებით უსმენს სხვადასხვა ტიპის მუსიკას. დროთა განმავლობაში პატარებს სიამოვნებას ანიჭებს საყვარელი სიმღერის მღერა, თითებზე გათვლის რიტმული ტექსტის გამეორება.

ამ ასაკის ასაკის ბავშვი ცქმუტავს, როცა რიტმული მელოდია ესმის, მთელი ტანით ირწევა, თავს ამოძრავებს, ცდილობს, მუსიკის რიტმში ჩაჯდეს - ამ დროს

ის ცეკვავს. მოგვიანებით მას მოსწონს სხვადასხვა მოძრაობის გამეორება, ბაძავს ცხოველებს, ფრინველებს - ხელებს განზე შლის და ჩიტივით „დაფრინავს“, ფეხისწვერებზე დგება და პეპელასავით დაფარფატებს და ა.შ.
ერთი წლიდან ბავშვები იწყებენ ამბის, შინაარსის გაგებას, განსაკუთრებით მოსწონთ ისტორიები ბავშვებზე, ცხოველებზე, რომელთა ყოველდღიური ამბებიც მათსას ჰგავს. ამ ასაკის ბავშვები ადვილად აიგივებენ საკუთარ თავს პატარა წრუწუნასთან ან ბავშვთან, რომელიც ქოთანზე დაჯდომას სწავლობს.
ამ ასაკის ასაკის ბავშვისთვის მეცნიერება ნიშნავს, რომ ითამაშოს ბუნებრივი რესურსით, როგორიცაა, მაგალითად, ქვიშა და წყალი; ამასთანავე, შეგრძნებების საშუალებით დააკვირდეს ნივთიერებებისა და საგნების ფიზიკურ მახასიათებლებს.
დააკვირდეს და აითვისოს სხვადასხვა სივრცე; ხოლო საკუთარი დაკვირვებების გაზიარებისას გამოიყენოს სივრცითი მიმართებებისა და დროის აღმნიშვნელი სიტყვები (მაგალითად, „ზემოთ“, „ქვემოთ“, „ჯერ“, „მერე“ და სხვ.)
ასევე, ჩაერთოს უფროსის მიერ ინიცირებულ ფიზიკურ აქტივობებში, დააკვირდეს და შეისწავლოს საკუთარი სხეული; ამასთანავე, შეადაროს და დაახარისხოს პირადი ჰიგიენის ნივთები (საპონი, კბილის პასტა, პირსახოცი, სავარცხელი და სხვ.), უფროსის მხარდაჭერით დაიცვას პირადი ჰიგიენა. ამ ასაკის ბავშვები, ასევე, შეისწავლიან კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს - აკვირდებიან, სინჯავენ და ყნოსავენ სხვადასხვანაირ საკვებს.
აღმზრდელი კურიკულუმის მიზნებს ბავშვების ამ მრავალფეროვან და მრავალმხრივ გამოცდილებებში მონაწილეობით აღწევს, რისთვისაც იგი შემდეგ საშუალებებს იყენებს:

- თამაში, რომელიც ბავშვების მიერ არის ინიცირებული, მათთვის საინტერესო, სახალისო და სწავლისა და განვითარების მთავარი ძალაა. ასევე თამაში, რომელიც აღმზრდელის მიერ არის მოფიქრებული და შეთავაზებული, რომელიც ეფუძნება ბავშვების ინტერესებს და მათი განვითარების შესაბამისი და ხელშემწყობია.
- გამოწვევები, (პროვოკაციები), რომელიც აღმზრდელის მიერ თემის ირგვლივ არის შექმნილი, ბავშვებში იდეების, ფანტაზიის და ინიციატივის პროვოცირების მიზნით. ეს ერთ-ერთი სტრატეგიაა, რაც რესურსების შეტანის გზით, მათი საგანგებოდ ორგანიზებითა და ვერბალური კომენტარებით ბავშვებისთვის ბიძგის მიცემას გულისხმობს.
- სტრატეგიები, აღმზრდელის გამიზნული ქმედებები, რომლებიც ბავშვების ეფექტურ სწავლასა და განვითარებას ემსახურება. სტრატეგიები გამოიყენება ნებმისმიერ კონტექსტში, ბავშვების მიერ ინიცირებული ან აღმზრდელის მიერ დაგეგმილი თამაშებისას, რუტინული საქმიანობების დროს, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით. მაგალითად, ბავშვებთან საუბარი მათი თამაშის და საქმიანობის შესახებ, უკუკავშირის მიცემა, კითხვების დასმა, ყურადღებით მოსმენა, არჩევანის შესაძლებლობის მიცემა.
- ფიზიკური გარემო, როგორც შიდა, ისე გარე სივრცეების, მასალების ორგანიზება და პერიოდული განახლება, რაც უზრუნველყოფს როგორც აღმზრდელის, ისე ბავშვების მიერ ინიცირებული თამაშების ეფექტურ

განხორციელებას დაკვირვება ბავშვებსა და საგანმანათლებლო პროცესზე, ბავშვების ინტერესების აღმოსაჩენად, მათი სწავლისა და განვითარების პროგრესის სანახავად, საგანმანათლებლო პროცესის შეფასების, ეფექტურად დაგეგმვის და ბავშვების საჭიროებებზე მორგებისთვის.

4.გარემოს მოწყობის პრინციპი 0–დან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის

ბაგა/ბაღის ფიზიკური გარემოს მოწყობის პრინციპი ეფუძნება ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს. შიდა სივრცე მოიცავს 0-2 წლამდე საკის ბავშვებისთვის სააღმზრდელო-სათამაშო ჯგუფებს,სასადილო და საძინებელ ოთახებს, მუსიკისა და სპორტის დარბაზს, სანიტარულ კვაძებს.

- გარემო არის "მესამე მასწავლებელი" – ის უნდა იყოს მასტიმულირებელი, უსაფრთხო და შთამაგონებელი;
- გეგმარება ეყრდნობა ბავშვის თავისუფალ მოძრაობასა და ინიციატივას;
- ღია, მრავალფუნქციური ზონები – რომელიც ხელს უწყობს დამოუკიდებლობას, კვლევასა და კომუნიკაციას;
- ფიზიკური გარემო, რომელშიც კურიკულუმი ხორციელდება არის ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. ეს არის მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადახვა სივრცეებად არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის.

კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისეა მოწყობილი, ისეთი მასალით აღჭურვილი, რომ ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წაახალისოს, შემოქმედებითობას და მათ სოციალიზაციას შეუწყოს ხელი, ემოციური კომპეტენციები განუვითაროს, ჯგუფის ერთობას გაუსვას ხაზი, ბავშვებს შორის თანამშრომლობა წაახალისოს.
ბაღის ჯგუფის ფიზიკური გარემოს მოწყობის პრინციპი ხელს უწყობს ბავშვის ყველა ყველა სფეროს განვითარებას:ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურემოციური განვითარება, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება,დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება შიდა სივრცის ორგანიზება
შიდა სივრცე უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური და შემეცნებითი მოთხოვნებს.

ძირითადი სივრცეები:

- დილის და საღამოს შეხვედრების სივრცე
  ხალიჩა, რბილი პუფები, ბალიშები.
- დასვენების და სიჩუმის სივრცე
  - რბილი ბალიშები, მინი კარავი ან კუთხე, სადაც ბავშვი მშვიდად შეისვენებს.
- სათამაშო და მანიპულაციური კუთხე
  - დიდი ზომის ბლოკები, კუბიკები, ფიგურები, სათამაშო მანქანები
- სენსორული სივრცე
  - ქვიშა/წყლის მაგიდა, ღრუბლები, ბრინჯი, ლენტები, ბუნებრივი

მასალები.

- ხელოვნების სივრცე
  - ფანქრები, თიხა, პასტელი, ქაღალდი, ხელსაწმენდები – ყველაფერი ბავშვების სიმაღლეზე, დამოუკიდებლად მისაწვდომი.
- წიგნთან ურთიერთობის სივრცე
  - პუფები, რბილი ბალიშები და ღია თაროები, სადაც განთავსებულია სურათებით მდიდარი წიგნები.
- მოძრაობის ზონა (ინტერიერში)
  - უსაფრთხო ავეჯი, დაბალი ტრასები, ბარიერები, რომ ბავშვებმა შეძლონ ცოცვა, უსაფრთხოდ გადაადგილება გადავლა, ბალანსის სწავლა. სხვა რეკომენდაციები:
  - თითოეულ ზონას გააჩნია ბუნებრივი განათება ან თბილი ხელოვნური განათება;
  - ავეჯი იყოს ხის ან ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან, მრგვალი კუთხეებით;
  - სივრცეში იყოს ბავშვის ნამუშევრები, სარკეები, ფოტოსურათები ბავშვების მონაწილეობით.

გარე სივრცის მოწყობა (ეზო)

გარემოს გარე ნაწილი არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან 0–2 წლის ბავშვებს სჭირდებათ აქტიური ურთიერთობა ბუნებასთან და ფართო მოძრაობის შესაძლებლობები.ამ კურიკულუმის მიხედვით, ეზოს ფიზიკური გარემო ისევე იძლევა მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების საშუალებას, როგორც ჯგუფის ოთახი. ბაღის ეზო აუცილებლად უნდა მოეწყოს ფუნქციურ სივრცეებად, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ, სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩაერთონ და განვითარდნენ. რა ცენტრები უნდა გვქონდეს ეზოში ძირითადი ელემენტები:

ეზო

- რბილი საფარი და მწვანე ზონა,
- ქვიშის ყუთი, წყლით თამაშის კუთხე.
- სათამაშო სახლები, საქანელები.
- ბალანსი

საძრომიალო, სასრიალო

ტრასა ველოსიპედისთვის.

- პატარა ბაღი მცენარეებიმოძრაობის ზონა:

ეს არის პატარა მოედანი, ბალახით დაფარული სწორი ადგილი, სადაც ბავშვები დაუბრკოლებლად სირბილს ან მოძრავ თამაშებში ჩართვას შეძლებენ – დაჭერობანა, გაშეშობანა, წრეში ბურთი და ა.შ. ეს ის თამაშებია, რომლებიც ასეთ მოედანზე ძალიან კარგად გაიშლება და ბავშვების მსხვილ მოტორულ უნარებს განავითარებს.. საქვიშე სენსორული აქტივობების სივრცე ეს არის სწორი ადგილი ბაღის ეზოში, რომელიც მთლიანად დაფარულია ქვიშით. დღის ბოლოს, საქვიშე აუცილებლად უნდა გადაიხუროს სპეციალური გადასაფარებლით, რათა სუფთად შენარჩუნდეს. საქვიშეში სათამაშოდ ბავშვებს დასჭირდებათ ნიჩბები, სათლები, ძაბ რები და ა.შ. ამ მასალას ბავშვები საქვიშესთან ახლოს მდგარ სათავსო

დრამატული სივრცე ტალახის სამზარეულო

ეს არის ადგილი, სადაც ბავშვები წყლით, ტალახითა და ეზოში არსებული

ბუნებრივი მასალით თამაშობენ. ერთმანეთს ურევენ ეზოში არსებულ ფოთლებს, ჯოხებს, ქვიშას; ამზადებენ ბალახისა და კენჭების „სადილებს“ და ა სენსორული ბაღი:

დასასვენებელი სოციალური კუთხე:

მაგიდები და სკამები ხისგან, სადაც ბავშვები თამაშობენ ან ჭამენ.
ამ ასაკობრივ ასაკობრივ ჯგუფში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სენსორული სივრცეების არსებობა.
ყველა სივრცე დაცული და უსაფრთხოა

გარემო უნდა იყოს მოქნილი და იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მასში ცვლილებები შევიტანოთ, თამაშის შესაბამისად შეცვალოთ, ახალი რესურსით გაამდიდროთ, საჭიროებისამებრ ავეჯი გადააადგილოთ და ა.შ.
ვიზუალური მასალა (მინიშნებები, აბრები, პოსტერები,ბავშვების ნამუშევრები ილუსტრაციები) უნდა განთავსდეს ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას.

5. მეთოდოლოგია

თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი თამაში გამოიყენება როგორც **ძირითადი საგანმანათლებლო ინსტრუმენტი**. იგი

შეიძლება იყოს:

- თავისუფალი თამაში — სადაც ბავშვი ირჩევს აქტივობას,ასევე მასწავლებლის მიერ ინიცირებული.
- **თამაში, რომელიც ბავშვების მიერ არის ინიცირებული**, მათთვის საინტერესო, სახალისო და სწავლისა და განვითარების მთავარი ძალაა. ასეთი თამაშის დროს ბავშვი თავად განსაზღვრავს როგორც საქმიანობას, ასევე გამოყენებულ მასალებს, სათამაშოებს, ადგილს. განსაზღვრავს, რამდენ ხანს ითამაშებს და ვისთან ერთად. უფროსის როლი ასეთი თამაშის დროს მხოლოდ ვერბალური უკუკავშირი ან ღია კითხვების დასმაა.
- **თამაში, რომელიც უფროსის მიერ არის მოფიქრებული** და შეთავაზებული, რომელიც ეფუძნება ბავშვების ინტერესებს და მათი განვითარების შესაბამისი და ხელშემწყობია. ეს თამაშები ძირითადად ორგანიზდება თემების და პროექტების სახით.

თამაშის ტიპები და განვითარების სფეროები 0-2 წლ. ასაკის ბავშვებისთვის:

მოძრავი თამაშები: თამაშები, რომლის დროსაც აქტიურად ხდება მსხვილი მოტორული უნარების გამოყენება – დაჭერობანა, ბურთის გაგორება.ბავშვი აკონტროლებს სხეულის მოძრაობას, მოძრაობს მიზანმიმართულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას (მოცემული ინდიკატორების მისაღწევად, თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ადაპტური აღჭურვილობა ან დამხმარე მოწყობილობა)..

სენსორული თამაშები:ბავშვი იყენებს შეგრძნებებს (მხედველობას, სმენას,

შეხებას, გემოვნებას, ყნოსვას), რომ შეასრულოს გარკვეული მოძრაობები, შეძლოს კოორდინაცია, გარემოს აღქმა და შეცნობა თამაშები, რომლებიც განსაკუთრებით ახდენს შეგრძნებების სტიმულირებას – ქვიშით, წყლით, ყინულით, პლასტელინით, ცომით, თითის საღებავებით თამაში, რაც ასევე ხელს უწყობს ნატიფი მოტორიკის განვითარებას. და ა.შ.

შემოქმედებითი თამაშები: საქმიანობები, რომლებიც შემოქმედებით პროცესებთან, სხვადასხვა მასალების გამოყენებით ახლის შექმნასთან არის დაკავშირებული – ხატვა, ძერწვა, მუსიკა, ცეკვა, დრამა, ხატვა და ა.შ. ბავშვი შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას და ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს. საგნებს განსხვავებულად და შემოქმედებითად იყენებს.

წარმოსახვითი თამაშები – ასეთი თამაშის დროს ბავშვი თავის წარმოსახვას იყენებს და სხვადახვა როლებს მოირგებს, რეალურ ან წარმოსახვით სიტუაციებს გაითამაშებს

კვლევითი თამაშები: საქმიანობები, რომლის დროსაც ბავშვები იკვლევენ მასალებსა და მათ თვისებებს – ექსპერიმენტი გემოები, შეგრძნებები, სმენითი, ყნოსვითი და მხედველობითი აღქმები.

მანიპულაციური თამაშები: თამაშები, რომლის დროსაც ბავშვი საგნებით მანიპულირებს – კრავს ან ხსნის თასმას, უყრის მძივს თოკში, ხსნის / ახურავს თავსახურს და.აშ.

0-დან 2ლამდე ასაკის ბავშვის განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები და თამაშები.

ფიზიკური განვითარება

ფიზიკური აქტივობა ეხმარება ბავშვს კუნთების გაძლიერებაში, რაც ისეთი რთული უნარების განვითარებისთვის სჭირდება, როგორიცაა დგომა, სიარული და სირბილი. ბავშვი იწყებს დამოუკიდებლად ან ხელის მოკიდებით სიარულს. შეუძლია აცოცება კიბეზე, მაგრამ ჯერ არ შეუძლია ჩამოსვლა. თუკი აჩვენებთ, როგორ გააკეთოს ეს, შეძლებს ბურთის გადაგდებას და წიგნის გადაფურცვლას, ასევე ფანქრებით ჯღაბნას და კუბებით კოშკის აშენებას. ამ ასაკიდან ბავშვი ცდილობს, დაგეხმაროთ, როდესაც აცმევთ ან ხდით ტანსაცმელს. ცდილობს, დაიჭიროს კოვზი და თვითონ დალიოს წყალი.

ფიზიკური განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

წაახალისეთ ბავშვი რომ აძვრეს მარტივ კონსტრუქციებზე (სკამი, სავარძელი, ეზოს საძრომიალო). იყავით მის გვერდით, რომ მისი უსაფრთხოება უზრუნველყოთ.შეაქეთ და წაახალისეთ ბავშვის ძალისხმევა,აღნიშნეთ, როგორ კარგად გამოსდის, როგორი ყოჩაღია და ა.შ.

შესთავაზეთ წვრილი მოტორიკის განსავითარებელი სათამაშო ღილაკები. მიეცით წიგნისგადაშლის და გადაფურცვლის შესაძლებლობ.არ მისცეთ შენიშვნა იმის გამო,რომ რამდენიმე ფურცელი გადაფურცლა ერთსდროულად.მიეცით შსაძლებლობა სხვასხვა ზომის ფლომასტერებით თამაშის,რბილი პლასტელინი,ცომის გამოყენების.

შესთავაზეთ სათამაშოები და ნივთები, რომლებიც ხმას გამოსცემენ, ხვადასხვა ჟღერადობა აქვთ, გაამახვილეთ ბავშვის ყურადღება განსხვავებულ ხმებზე. მიეცით სათამაშოდ ნივთები, რომლებსაც თავსახურის მოხსნა მორგება სჭირდება;

სოციალურ-ემოციური განვითარება(12-24თვე)

ერთი წლის ბავშვი უფრო და უფრო მეტ სიამოვნებას ღებულობს ოჯახის წევრებთან ურთიერთობით, კოცნის და ეხუტება ოჯახის წევრებს, ნაცნობ ადამიანებს, საყვარელ ცხოველს. მოსწონს მარტო თამაში - შეუძლია თავი გაირთოს გარკვეული დროის განმავლობაში. ამავე დროს სხვა ბავშვების გარემოცვაში ყოფნაც მოსწონს, გარკვეული ხანი შეუძლია უბრალოდ მათ გვერდით თამაში.

ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვი უკვე ცნობს და ეძახის საკუთარ თავს სარკეში. როცა შესაბამის შეკითხვას უსვამენ, შეუძლია საკუთარი სხეულის ნაწილებზე მიუთითოს. ასევე შეკითხვაზე მარტივი „კი“ ან „არა“ პასუხით შეუძლია გამოხატოს თავისი არჩევანი. როცა რამე ახალს აკეთებს უფროსს უყურებს და წარმატების შემთხვევაში იღიმება. ამ ასაკში ბავშვი უკვე აღიქვამს სხვის მიერ გამოხატულ სხვადასხვა ემოციასაც - სიხარულს, წყენას, ბრაზს, ასევე თავად გამოხატავს ემოციებს ნაცნობი ადამიანების მიმართ. თანაგრძნობას გამოხატავს ოჯახის წევრების მიმართ, ბავშვს უკვე შეუძლია საკუთარი ქცევის შეცვლა უფროსის თხოვნის შესაბამისად, შეუძლია მარტივი მითითებების შესრულება - მომეცი, აქ დადე, მომიტნე და ა.შ. ამ ასაკში ბავშვი თამაშის დროს იმეორებს უფროსის მოქმედებებს - დაჰყავს მანქანა, კითხულობს, სადილს ამზადებს. მოსწონს ნაცნობ ადგილებში ყოფნა, უცხო გარემოში როდესაც ნაცნობი უფროსი იქვე ეგულება, თავს უსაფრთხოდ გრძნობს და მშვიდად იკვლევს ახალ ნივთებს და გარემოს.

სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

••თქვენ შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ თქვენი ბავშვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას პირველ რიგში რეგულარული რუტინის, გარკვეული დღის განრიგის შემუშავებით, გონივრული საზღვრების დაწესებით და ამ ყველაფრის თანმიმდევრულად შესრულებით;

მიეცით ბავშვს არჩევანის საშუალება, დაუსვით შეკითხვა, მაგ: შვრიის ფაფა გინდა თუ ბრინჯის? ლურჯ მაისურს

ჩაიცვამ თუ კოპლებიანს?

••მიეცით ბავშვს საშუალება სახლის საქმეებში მოგეხმაროთ, მას შეუძლია საკუთარი სათამაშოები აალაგოს, ტანსაცმლის კარადაში შელაგებაში დაგეხმაროთ და ა.შ.

••ბავშვის უნარების მიმართ დადებითი განწყობა გამოხატეთ, აღნიშნეთ ბავშვის მიღწევები, წარმატებები, ისაუბრეთ მის გამორჩეულ სურვილებზე, უნარებზე;

••იყავით პოზიტიური ქცევის მაგალითის მიმცემი, გადაუხადეთ მადლობა დახმარებისთვის, თავად გამოიყენეთ ის სიტყვები, რომელთა სწავლებაც გსურთ ბავშვისთვის;

••ხშირად მიეცით ბავშვს საშუალება ითამაშოს თავისი თანატოლების•• ხშირად შექმენით ისეთი სიტუაციები, როცა ბავშვი თავს კარგად იგრძნობს, ეს შეიძლება იყოს ერთად საუზმე, ძილის წინ წიგნის კითხვის რიტუალი და ა.შ.

••გაახმოვანეთ ბავშვის ემოციები: ჩანს რომ ნაწყენი ხარ...

••ესაუბრეთ სხვა ბავშვების ემოციებზეც: თაკოს ეწყინა ქვიშა რომ ჩაუყარე ჯამში...

••წაახალისეთ ბავშვი, რომ საკუთარი სათამაშო აბანაოს, ჩააცვას, მოაწესრიგოს, რათა სხვაზე ზრუნვა ისწავლოს;

••შექმენით ისეთი გარემო, სადაც ნაკლებად მოგიწევთ შეზღუდვების დაწესება.

შემეცნებითი განვითარება 0-დან - ორ წლამდე (0-24 თვე)

ერთი წლიდან ბავშვი მეტად ცდილობს მიბაძოს ნაცნობი უფროსების მოქმედებებს. მაგალითად, დააძინოს თოჯინა ან „ისაუბროს“ ტელეფონზე, ცდილობს, გადაწმინდოს მაგიდა ტილოთი. ცნობს ნაცნობ

საგნებს წიგნში. ვითომ აჭმევს თოჯინას, სათამაშო მანქანის ტარებისას გამოსცემს შესაბამის ხმას. უკვე წლინახევრიდან მოსწონს ჭურჭლის დაცლა და ავსება, ბოთლის დახურვა და გახსნა. იწყებს საგნების დაჯგუფებას რაიმე ნიშნით. მაგალითად, ერთად აწყობს მანქანებს, ერთად კუბურებს. უკეთ იწყებს პრობლემების გადაჭრას. მაგალითად, სულს უბერავს კოვზს, როცა ვეუბნებით, რომ ფაფა ცხელია.

შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

••შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის კარგი საშუალებაა სახვითი ხელოვნება, ცეკვა და მუსიკა. ამისათვის მიეცით ბავშვს საშუალება, მოსინჯოს სხვადასხვაგვარი სამხატვრო მასალა, თავისუფლად ჩაატაროს ექსპერიმენტები: შეურიოს ფერები, ხატოს სხვადასხვანაირი საშუალებით - ფოთლებით, ბუმბულებით. მთავარი და მნიშვნელოვანია, ბავშვის შემოქმედებით პროცესში ჩართვა და არა ის, თუ როგორ დახატავს.

••მოასმენინეთ სხვადასხვა ჟანრის მუსიკა, იმოძრავეთ, იცეკვეთ და იმღერეთ მასთან ერთად. აყევით მელოდიებს სახლში დამზადებული მუსიკალური ინსტრუმენტებით

.•• დაახარისხეთ სხვადასხვა ფერის კუბურები ფერების მიხედვით, შემდეგ კი ფორმების მიხედვით, შეადარეთ რაოდენობები (ცოტა-ბევრი), გადათვალეთ ერთად.

••სეირნობისას შეაგროვეთ სხვადასხვა ბუნებრივი მასალა დაახარისხეთ ცალ-ცალკე - ფოთლები, ტოტები, ქვები,

ნიჟარები. შეადარეთ ერთმანეთს, ყურადღება გაამახვილეთ მსგავსებაზე და

განსხვავებაზე.

••მიზეზშედეგობრივი კავშირების გასაგებად აღწერეთ, ის რაც ხდება, როცა ბავშვი თამაშობს: ჭიქა გაივსო და წყალი გადმოიღვარა, ხის კოვზი ტივტივებს,

ბურთი გაგორდა და ა. შ.

მეტყველების განვითარება 0-დან - ორ წლამდე (12-24 თვე)

ერთი წლის ბავშვმა შესაძლოა, უკვე იცოდეს ერთი-ორი სიტყვა. ასევე სხეულის ერთ ნაწილზე მაინც მიუთითებს. ადეკვატურად რეაგირებს ნაცნობ სიტყვებზე და რეაგირებს დაძახებაზე. ასრულებს მარტივ, ერთი ინსტრუქციის შემცველ დავალებას: აიღე დათუნია, ისროლე ბურთი

და ა. შ. ასაკის მატებასთან ერთად სიტყვათა მარაგიც მდიდრდება. წლინახევრის ასაკიდან ბავშვი ამბობს 5-6 სიტყვას, მოგვიანებით 5-20 მარტივ სიტყვას იყენებს, ორი წლისთვის კი უკვე ესმის 50 სიტყვის მნიშვნელობა. იყენებს უარყოფით შესიტყვებებს და შეუძლია ორი სიტყვის დაკავშირება. ინტერესით უსმენს მოყოლილ მოკლე ამბავს.

მეტყველების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

••როცა ბავშვი იწყებს მეტყველებას, ეცადეთ, არ

გააწყვეტინოთ, არ დაასრულოთ წინადადება მის

ნაცვლად, მიეცით საშუალება, თავად მონახოს საჭირო

სიტყვები;

••შეეცადეთ, არ შეუსწოროთ სიტყვები, რომელსაც

შეცდომით ამბობს, ამის ნაცვლად, როცა თქვენ

ისაუბრებთ, უბრალოდ, გაიმეორეთ ეს სიტყვები სწორად;

••ერთად ითამაშეთ ისეთი თამაშები, რომელიც

მოითხოვს მარტივი დავალებების შესრულებას,

მაგალითად: გადმომიგდე ბურთი, ისროლე კალათში და ა. შ.

••ახალი სიტყვების სასწავლად გამოიყენეთ დასურათებული წიგნები, ფოტოები, სურათები, სხვადასხვა საგანი, რათა ბავშვისთვის თვალსაჩინო იყოს;

••ბავშვის საუბარი უკუკავშირით წაახალისეთ. მაგალითად, უთხარით -მართლა? რა საინტერესოა... და ა. შ.

••წაახალისეთ ბავშვი, ისაუბროს საკუთარ განცდებზე, ფიქრებზე;

••ყოველდღიურ საქმიანობებში ყოველთვის გაახმოვანეთ თქვენი მოქმედებები და ხაზი გაუსვით თანმიმდევრულობას: ახლა მე ფაფა უნდა მოვამზადო - ჯერ ჯამს ავიღებ და ბურღულს ჩავყრი, მერე წყალს დავასხამ და ა. შ.

••ხშირად ეთამაშეთ ისეთი თამაშები, როდესაც ხმის იმიტაციის საშუალება ექნება: აბა როგორ ყეფს ძაღლი? ვითომ ფუტკარი ხარ, როგორ ბზუის?

••თამაშის დროს გამოიყენეთ თოჯინა ხელთათმანები, მარიონეტები. შეეცადეთ, ბავშვმა სიამოვნება მიიღოს თქვენთან საუბრით.

დამოუკიდებლობა და თვითმოვლის უნარ-ჩვევები წლიდან - ორ წლამდე (12-24 თვე)

ერთი წლიდან ბავშვი მეტად ცდილობს, დამოუკიდებლად შეასრულოს სხვადასხვა მოქმედება, ეწინააღმდეგება უფროსს, ამბობს „არა“-ს და ცდილობს, გააკეთოს თავისებურად, უნდა, თვითონ ჭამოს ან გაიხადოს წინდები. ცდილობს, დამოუკიდებლად გადაჭრას პრობლემა. მაგალითად, თუ ვერ წვდება სათამაშოს, დგება ყუთზე. უცხო გარემოში ნაცნობ უფროსთან ურჩევნია ყოფნა. იცის თავისი დღის მიმდინარეობა და ცდილობს, დაიცვას ის.

დამოუკიდებლობის განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

••გარემო უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და ნივთებს უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელიც ბავშვისათვის იქნება ნაცნობი;

••ნივთებისა და სათამაშოების მოწესრიგებულად ორგანიზებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ პატარა კალათები და ყუთები, სადაც დაახარისხებთ სხვადასხვა სახის სათამაშოებს, მასალებს და გაუკეთებთ შესაბამის ვიზუალურ მინიშნებებს: ნახატებს და წარწერებს.

მაგალითად, კონტეინერს მანქანებისათვის დავაკრათ პატარა ქაღალდი, სადაც დახატული იქნება მანქანა;

••დაალაგეთ ბავშვთან ერთად, დაახარისხეთ და ჩააწყვეთ სათამაშოები, შესთავაზეთ, დააჭიროს მტვერსასრუტის ჩართვის ღილაკს და დააკვირდეს, როგორ ისრუტავს მტვერს;

••მიეცით ბავშვებს დრო და საშუალება დამოუკიდებლად იკვებონ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ძალიან დაისვარონ;

••წაახალისეთ ბავშვები, თვითონ ჩაიცვან მარტივი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, იყავით მომთმენნი, მიეცით საკმარისი დრო და ნუ დააჩქარებთ;

••ასწავლეთ პატარას, როგორ ითხოვოს დახმარება. მაგალითად, როცა ხედავთ, რომ გაღიზიანებულია, რადგან არ გამოსდის სათამაშოს გახსნა, უთხარით: „ცოტა ძნელია ამის გადატრიალება, ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდება? მოდი, ასე ვცადოთ !“;

გამოიყენეთ სტრატეგიები - „შენ დაიწყე, მე დავამთავრებ“,

„მოდი, ერთად გავაკეთოთ“, „მე გაჩვენებ, შენ გაიმეორე“ -სათამაშოების დალაგების, კვების, მაგიდის ალაგების დროს და სხვა სიტუაციებში.

თამაშები ფიზიკური განვითარების ხელშეწყობისათვის

დავიჭიროთ საპნის ბუშტები

საჭირო მასალა: საპნის ბუშტების სითხე და ჰაერის ჩასაბერი ჯოხი,

თავისუფალი სივრცე ოთახში ან ეზოში, სადაც ბავშვი შეძლებს მოძრაობას.

აახალისეთ თქვენი პატარა, დაიჭიროს საპნის ბუშტები, მასთან ერთად თქვენც დაედევნეთ ბუშტებს და იხალისეთ. შეგიძლიათ, გაახმოვანოთ თქვენი ქმედება: მოდი, დავიჭიროთ ბუშტი, დავიჭიროთ...

გაგორდა ბურთი, გაგორდა

საჭირო მასალა: საშუალო ზომის ბურთი დაახლოებით 10 – 20 სანტიმეტრის დიამეტრით, ხალიჩა.

ბავშვთან ერთად მოთავსდით იატაკზე, დასხედით ერთმანეთის პირისპირ, გაუგორეთ ბურთი და წაახალისეთ, რომ იგივენაირად დააბრუნოს უკან, თან გაახმოვანეთ: გაგორდა ბურთი, გაგორდა... თუ ბავშვს ადვილად გამოსდის ბურთის დაჭერა, მოუმატეთ სიჩქარეს გაგორებისას, ასევე შესაძლებელია, ბურთი მსუბუქად დააგდოთ იატაკზე, რათა ბავშვმა ასხლეტილი ბურთის დაჭერა სცადოს.

ცელქი ბაჭია

საჭირო მასალა: სურათებიანი წიგნი

დაათვალიერებინეთ ბავშვს სურათებიანი წიგნი, რომელშიც კურდღელი იქნება დახატული, შემდეგ მასთან ერთად განასახიერეთ ეს ცხოველი. გაახმოვანეთ თქვენი მოძრაობა და, დროდადრო, სხვადასხვა მოძრაობა შესთავაზეთ ბავშვს: ახლა ვართ ბაჭიები და დავხტივართ, სკუპ, სკუპ... ახლა ბაჭიები ცალ ფეხზე დახტიან... ახლა ბაჭიები შეტყუპებული ფეხებით დახტიან... ახლა ბაჭიებმა წინა თათები მხრებზე დაიდეს და ისე დახტიან და ა. შ.

დააბინავე ნივთები

საჭირო მასალა: მუყაოს ყუთი, პატარა ზომის ბურთები, ცარიელი თუნუქის ქილები პლასტმასის სახურავით, პლასტმასის საწრუპები, პლასტმასის ბოთლების სახურავები.

წინასწარ გაამზადეთ მასალა, რომელსაც შემდეგ ბავშვს შესთავაზებთ სათამაშოდ. თუნუქის ქილების პლასტმასის სახურავებს გაუკეთეთ სხვადასხვა ზომის ხვრელი, ისე რომ ბავშვმა მოახერხოს ზოგიერთ სახურავში საწრუპის მოთავსება, ზოგან ბოთლის სახურავის და ა. შ. დაახურეთ ქილებს დახვრეტილი სახურავები, მიეცით ბავშვს ეს ნივთები და ასევე ცალკე კონტეინერით ის საგნები, რომელიც ნახვრეტში უნდა მოათავსოს.

ბურთს ყველაფერი შეუძლია

საჭირო მასალა: საშუალო ზომის ბურთი დაახლოებით 10 – 20 სანტიმეტრის დიამეტრით.

ბავშვთან ერთად დადექით ბურთით ხელში და დაიწყეთ თამაში: აწიეთ ბურთი ზევით და გაახმოვანეთ: ბურთს შეუძლია მისწვდეს ცას, დაელოდეთ ბავშვს, რომ იგივე მოძრაობა შეასრულოს, შემდეგ დაიდეთ ბურთი თავზე და გაახმოვანეთ: ბურთს შეუძლია გაჩერდეს ჩემს თავზე, შემდეგ დაჯექით იატაკზე, ბურთიც ძირს დადეთ და შეეცადეთ, ბურთი თქვენი სხეულის გარშემო შემოატაროთ.

თამაშები დამოუკიდებლობის განვითარების ხელშეწყობისათვის

სად არის ამის ადგილი?

საჭირო მასალა: რამდენიმე კალათა ან ყუთი, ფანქრები და ფურცელი, წებოვანი ლენტი, სხვადასხვანაირი სათამაშოები.

წინასწარ დახატეთ ფურცელზე ან გამოჭერით სათამაშო, რაც გაქვთ: მანქანები, კუბურები, ბურთები და სხვა. დააკარით კალათებს. სხვადასხვა სათამაშო ხელში დაიკავეთ, იკითხეთ: სად არის ამის ადგილი? წაახალისეთ ბავშვი, გაანაწილოს სათამაშოები შესაბამის სათავსოებში.

არაფერს დავეჯახოთ

საჭირო მასალა: სახლში არსებული სხვადასხვა ავეჯი და ნივთები.

გაანაწილეთ სკამები, კალათები და სხვადასხვა ნივთი ოთახში. ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე უნდა გაიაროთ ისე, რომ არაფერს დაეჯახოთ.

გადავყარეთ გადმოვყარეთ

საჭირო მასალა: მანანის ბურღული, კოვზი, პატარა ჯამები.

ლანგარზე დაალაგეთ ჯამები, ერთ ჯამში ჩაყარეთ მანანის ბურღული. შესთავაზეთ ბავშვს ლანგარზე დალაგებული ჯამები და კოვზი, წაახალისეთ, სავსე ჯამიდან სხვებში გადაანაწილოს ბურღული კოვზის დახმარებით. შემდეგ

ისევ დააბრუნოს ჯამში და ასე ითამაშოს, სანამ არ მობეზრდება.

რეცხვის დღე

საჭირო მასალა: ბავშვის ტანსაცმელი: წინდები, საცვლები და ა. შ. ან თოჯინების ტანსაცმელები, ჯამი, საბავშვო საპონი, თოკი, სარჭები.

შესაკრავები

საჭირო მასალა: მუყაო, ქსოვილი ან ძველი ტანსაცმელი მარტივი დიდი შესაკრავებით: დიდი ელვა შესაკრავი, დიდი ღილები,

კნოპები.

მუყაოზე გადააკარით ქსოვილი და დააკერეთ შესაკრავები. წაახალისეთ ბავშვი, გახსნას და შეკრას შესაკრავები.

თამაშები მეტყველების განვითარების ხელშეწყობისათვის

ეს რა არის?

საჭირო მასალა: სახლში არსებული საგნები.

ყოველდღიური საქმიანობების დროს მიუთითეთ ბავშვს სხვადასხვა ნივთზე და ჰკითხეთ: ეს რა არის? წაახალისეთ, რომ დაასახელოს ეს ნივთი. თუ თვითონ ვერ მოახერხა, თქვენ თქვით და წაახალისეთ გაიმეოროს.

ლექსი დამარცვლით

საჭირო მასალა: რომელიმე საბავშვო ლექსი.

თავდაპირველად წაუკითხეთ ბავშვს ლექსი სხვადასხვა ინტონაციის გამოყენებით. შემდეგ იგივე ლექსი წაიკითხეთ დამარცვლით, მარცვლების წარმოთქმისას ბავშვთან ერთად დაუკარით ტაში, მაგ:

„ზღარ-ბო, ზღარ-ბო, ქა-ცვი-ა,

ეს რა ქურ-ქი, გა-ცვი-ა“

როგორია, რასაც ხედავ?

საჭირო მასალა: სხვადასხვა სათამაშო, ნივთები.

აჩვენეთ ბავშვს რომელიმე ნივთი და ჰკითხეთ: როგორია? წაახალისეთ, რომ დაასახელოს რაც შეიძლება მეტი სიტყვა. ეს თამაში შეგიძლიათ ყოველდღიური საქმიანობისას ითამაშოთ: სეირნობისას, სადილის დროს ან ბანაობისას.

ჩიტი დაფრინავს

აირჩიეთ ცხოველი, ფრინველი ან ნივთი, მაგალითად, ჩიტი. წაახალისეთ ბავშვი, ჩამოთვალოს, რა შეუძლია ჩიტს, მაგ: ჩიტი დაფრინავს, ჩიტი კენკავს და ა. შ. შემდეგ გაცვალეთ როლები, ახლა ბავშვმა აირჩიოს და თქვენ ჩამოთვალეთ.

თამაშები შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობისათვის

ხელნაკეთი საძერწი ცომი

საჭირო მასალა: ორი ჭიქა ფქვილი, ერთი ჭიქა მარილი, ორი ჭიქა წყალი, ერთი სუფრის კოვზი ზეთი, ერთი პაკეტი საკვები ლიმონმჟავა, საკვები საღებავები, ბუნებრივი მასალები.

ცომის დასამზადებლად აურიეთ ინგრედიენტები ქვაბში და დაბალ ცეცხლზე დაადგით, ურიეთ რომ არ მიიწვას, ცოტა ხანში ნახავთ, რომ მასა მიიღებს ცომის ფაქტურას, გადმოდგით ცეცხლიდან, გააცივეთ და დაყავით იმდენ ნაწილად, რამდენი ფერიც გაქვთ, შეურიეთ ცომს და კარგად აზილეთ. ცომს ასევე შეგიძლიათ დაუმატოთ სხვადასხვა ესენცია ან სურნელოვანი ზეთები - პიტნის, ლიმონის, ნუშის და ა. შ. შესთავაზეთ ბავშვს ცომი და ბუნებრივი მასალები, წაახალისეთ დაამრგვალოს,

დააგრძელოს ცომი, დაამაგროს მათზე ბუნებრივი მასალები.

ფერების შერევა

საჭირო მასალა: დიდი ზომის კონტეინერი, სხვადასხვა

გამჭვირვალე ჭურჭელი, ჭიქები, სხვადასხვა ზომის ბოთლები, საკვები საღებავი.

წყალში წინასწარ გახსენით სხვადასხვა ფერის საკვები საღებავი: წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე და ა.შ. ჩაასხით გაფერადებული წყალი სხვადასხვა ჭურჭელში და ჩააწყვეთ დიდ კონტეინერში. წაახალისეთ ბავშვი, მაგალითად, ყვითლად შეფერილი წყალი გადაასხას ლურჯად შეფერილ წყლიან ჭურჭელში და დააკვირდეს ფერების შერევას.

რა აკლია?

საჭირო მასალა: რამდენიმე პატარა სათამაშო: კუბურები, ცხოველების ფიგურები და ა. შ. პლასტმასის ჭიქა.

დადეთ სამი ან ოთხი სხვადასხვანაირი სათამაშო მაგიდაზე და სთხოვეთ ბავშვს, დაიმახსოვროს მაგიდაზე მოთავსებული ნივთები და შემდეგ დაიხუჭოს, დააფარეთ რომელიმე სათამაშოს ჭიქა, ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რომელი აკლია. შეგიძლიათ გაზარდოთ სათამაშოების რაოდენობა.

პატარა სამყარო

საჭირო მასალა: დიდი ზომის ქოთანი ან კონტეინერი, ცხოველების და ადამიანების პატარა ფიგურები, რაიმე ბურღულეული, ხის

ტოტების გადანაჭრები და დიდი ზომის ქვები.

ქოთანში ან კონტეინერში ჩაყარეთ ბურღული ან მიწა, ხის ტოტებისა და ქვების დახმარებით გააფორმეთ როგორც ეზო ან ტყე, ჩასვით ცხოველების და ადამიანების ფიგურები, ითამაშეთ ვითომ ტყეში ან ეზოში, ამოძრავეთ და გაახმოვანეთ ფიგურები. წაახალისეთ ბავშვი, გეთამაშოთ დიალოგის მეშვეობით: „გამარჯობა, ლომო, როგორ ხარ, მელაკუდა ხომ არ გინახავს?“

თამაშები სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობისათვის

ზღვა ღელავს

საჭირო მასალა: დიდი ზომის გამძლე ქსოვილი, ან ზეწარი;

დააფინეთ ქსოვილი იატაკზე და წაახალისეთ ბავშვი, რომ ზედ დაწვეს. შემდეგ ერთი მხრიდან თქვენ დადექით, მეორე მხრიდან სხვა უფროსი და ფრთხილად აწიეთ ქსოვილი. ნელა ამოძრავეთ ქსოვილი და გაახმოვანეთ: ზღვა ღელავს, ღელავს. მიეცით ბავშვს საშუალება იხალისოს და დადებითი ემოციები გამოხატოს.

ჩიტი დაფრინავს, დათვი ბაჯბაჯებს

ეს თამაში კარგი საშუალებაა იმპულსების მართვის უნარისთვის. დადექით ხალიჩაზე ბავშვთან ერთად და გაახმოვანეთ თქვენი მოძრაობები: ჩიტი დაფრინავს - თან ხელები ამოძრავეთ და ბავშვიც წაახალისეთ, რომ იგივე გაიმეოროს, დათვი ბაჯბაჯებს - შეცვალეთ მოძრაობა. ასე შეგიძლიათ სხვადასხვა მოძრაობები შესთავაზოთ: პეპელა დაფარფატებს, ბაჭია დახტის და ა.შ. და წაახალისოთ ბავშვი, რომ განასახიეროს. დროდადრო ცვალეთ მითითება, ბავშვმაც შესაბამისად უნდა შეცვალოს მოქმედებები.

როგორი სახე აქვს...

საჭირო მასალა: ქაღალდის ფურცლები, ფერადი ქაღალდი, შავი მარკერი, ხის ჩხირები, ქაღალდის სკოჩი.

ფერადი ფურცელი დააწებეთ თეთრ ფურცელზე მეტი სიმყარისთვის, შემდეგ კი გამოჭერით საშუალო ზომის წრეები - ეს იქნება სახეები. შემდეგ თითოეული ფერის წრეზე სხვადასხვა ემოციები გამოსახეთ - მხიარული, მოწყენილი, გაბრაზებული, შეშინებული. სახეებს უკან ხის ჩხირი დაამაგრეთ ქაღალდის სკოჩით. აიღეთ თითო სახე და წაახალისეთ ბავშვი, რომ შესაბამისი მიმიკა მიიღოს, გაახმოვანეთ - შეხედე როგორი გახარებულია, როგორი სახე აქვს აბა მაჩვენე... ეს როგორი მოწყენილია, აბა როგორი სახე აქვს...

მოლაპარაკე თითები.

საჭირო მასალა: ფლომასტერი, რომლის გამოყენებაც შეიძლება სხეულზე.

დაახატეთ ბავშვს თითზე სახის მარტივი კონტური - თვალები და პირი, წახალისეთ, რომ გაახმოვანოს, როგორ ხასიათზეა, რას გრძნობს.

ბურთი მიგორავს...

საჭირო მასალა: საშუალო ზომის ბურთი.

მოთავსდით ხალიჩაზე ბავშვთან ერთად, კარგი იქნება თუ ამ თამაშში ოჯახის სხვა წევრებიც ჩაერთვებიან. გააგორეთ ბურთი და დაასახელეთ ვისთან მიგორავს - მაგალითად ბურთი მიგორავს ნინისთან. შემდეგ ეს მოთამაშე სხვას გაუგორებს ბურთს და კვლავ მის სახელს ამბობს.

დღის მანძლზე უნდა ჭარბობდეს ბავშვების მიერ ინიცირებული თამაშები.

ბავშვზე მორგებული სწავლა კურიკულუმი აღიარებს, რომ ამ ასაკში **თითოეული ბავშვი ავლენს უნარებს საკუთარი ტემპით** და შესაძლებლობებით

- აღმზრდელი აკვირდება ბავშვის ინტერესებს და „აწვდის'' აქტივობას მის მოტივაციაზე დაყრდნობით
- სწავლა ემყარება ინტერაქციას, მოძრაობასა და საგნებთან თამაშს

გარემოს როლი (მესამე მასწავლებელი)

მეთოდოლოგიის საფუძველი არის **საგანგებოდ მოწყობილი და ბავშვისთვის ადაპტირებული სივრცე**, რომელიც:

- ემსახურება ინტერაქციას
- მისაწვდომია, მორგებულია სიმაღლეზე და განვითარების დონეზე
- ხელს უწყობს დამოუკიდებელ მოქმედებას
- სტიმულირებს გრძნობის ორგანოებს, დაკვირვებას, წვდომასა და რეაგირებას

აღმზრდელის როლი – „დაკვირვებული თანამგზავრი“ აღმზრდელი არ არის „ინსტრუქტორი“, არამედ:

- მუდმივი დამკვირვებელი – ვინც აფიქსირებს ბავშვის ინტერესებს, სუსტ და ძლიერ მხარეებს
- ემოციური ბალანსის გარანტი – უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას
- აქტივობის მოქნილი მოდერატორი – რეაგირებს ბავშვის მოქმედებებზე, „უწვდის“ სწავლის შესაძლებლობას.

ინტეგრირებული სწავლა ყოველდღიურობაში ბავშვის სწავლა და განვითარება არ შემოიფარგლება მხოლოდ დაგეგმილი აქტივობებით. ადრეული განათლების ჰოლისტურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ რუტინული საქმიანობების (კვება, ძილი, ხელის დაბანა) და გადასვლების (მოსვლა, წასვლა, დალაგება, სივრცეებსა და ერთი საქმიანობიდან სხვა საქმიანობაზე გადასვლა) დროსაც ბავშვები დამოუკიდებლობისა და თვითმოვლის უნარებთან ერთად, კიდევ ბევრ რამეს სწავლობენ. მეტიც, ბავშვები თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს აღწევენ, როდესაც გვერდით მზრუნველი და კომპეტენტური აღმზრდელია, რომელიც ბავშვების სწავლისა და განვითარების მხარდაჭერისთვის ნაყოფიერად იყენებს რუტინულ საქმიანობებს. უფროსებს შეუძლიათ ისეთი თამაშები შესთავაზონ ბავშვებს, წამოიწყონ საუბარი, ჩართონ დიალოგში, კითხვები დაუსვან, დააფიქრონ, რომ ასეთ მომენტებშიც იმუშაონ დღის და კვირის მიზნებზე და ბავშვების განვითარებაზე. ამისათვის, უფროსმა წინასწარ უნდა იფიქროს, როგორ შეუძლია რუტინული საქმიანობების და გადასვლების, ანუ ტრანზიციების დროს სასწავლო მიზნების ინტეგრირება.

- ჭამის დროს-კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება.
- სეირნობის დროს (ბუნებაზე დაკვირვება, კვლევა-აღმოჩენა
- ჰიგიენური პროცესებისას (წესრიგი და თვითმომსახურება, დამოუკიდებლობა
- ძილის წინ (მოთხრობა, სიმღერა, კონტაქტი)

სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით.ბავშვები თავად ირჩევენ რომელ სივრცეში შევლენ და რას გააკეთებენ ამ კურიკულუმის განხორციელების ძირითადი საშუალებებია: მრავალფეროვანი თამაშები, გამოწვევები და

აღმზრდელის მიერ გამოყენებული სტრატეგიები. თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. რაც უფრო მრავალფეროვან თამაშებს შესთავაზებს აღმზრდელი ბავშვებს, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, მით უფრო მაღალი იქნება ბავშვების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში და, ამავე დროს, ხელი შეეწყობა მათ ჰოლისტურ განვითარებას.

საგანმანათლებლო რესურსი

წიგნები სხვადსხვა ფაქტურის და ზომის:

- ილუსტრირებული წიგნები, რომლებსაც აქვს მარტივი შინაარსი და თითოეულ გვერდზე რამდენიმე სიტყვა წერია;
- • წიგნები ოჯახზე, ემოციებზე, ყოველდღიურობაზე;
- •ხმოვანი და მუსიკალური წიგნები.
- წიგნები საყვარელი მოთხრობების, სიმღერების ტექსტებით;
- თითებით თამაშის ამსახველი წიგნები, რომლებიც მოითხოვს ბავშვის აყოლასა და ჩართულობას;
- სასაცილო შინაარსის წიგნები;
- •წიგნები, რომლებიც წაახალისებს ბავშვებს, იპოვონ და მიუთითონ რომელიმე ნახატი;
- წიგნები, რომლებშიც მოთხრობილია ისტორიები მათზე ან მათ მსგავს ბავშვებზე;
- წიგნები ცხოველებზე;
- წიგნები, რომელთა მოყოლასა და გათამაშებაში ბავშვებს შეუძლიათ, თვითონ მიიღონ მონაწილეობა;
- წიგნები, რომლებიც ეხმარება ბავშვებს, გაერკვნენ საკუთარ გრძნობებში, გაიაზრონ
- წიგნები მარტივი ცნებებით - ციფრები, ზომა, ფორმა, ანბანი, ფერი.

ჟღარუნები, მანათობლები, დოლი, საყვირი, ქსილოფონი, სხვადსხვა მუსიკალური სათამაშოები, თოჯინები, მუსიკალური ცენტრი, სამზარეულოს ჭურჭელი, რომელიც არ იმტვრევა და ხმას გამოსცემს, ფერადი ლენტები, ჰულაჰუპები, ბურთები სხვადასხვა ზომის და ფაქტურის.

თითით სახატავი საღებავი, სხვადასხვა ფაქტურის ცომი, პლასტილინი, გუაშის საღებავი, სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი, მსხვილი ფლომასტერები, ფანქრები, მსხვილი ფუნჯები, მსხვილი ფერადი ფანქრები, მსხვილი მარკერები, დიდი ზომის ქაღალდის ფორმატები.

სხვადსხვა ფაქტურისა შინაარსის აღმნიშვნელი თოჯინები, მანქანები, სათამაშო სახლი, ჭურჭელი, თოჯინა ხელთამანები.

პროფესიების ამსახველი **სხვადასხვა მასალები. სხვა და სხვა დანიშნულების მანქანები,კუბიკები სხვადსხვა ზომის, ფერის, ფაქტურის.მასალები.ცხოველების, ხილის, ბოსტნეულის მულაჟები,რბილი ცხოველები,მაგნიტური დაფები, სენსორული ბოთლები.** ბუნებრივი და მეორადი მასალები

სავარაუდო თემები 0-2 წლის ბავშვებისთვის

- მე და ჩემი სხეული
- ჩემი ოჯახი და მეგობრები
- ცხოველები
- ფერები და ფორმები

- სეზონები
- ტრანსპორტი
- საკვები
- მცენარეები
- წყალი და წყლის თვისებები

6.საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

დღის განრიგი
დროითი გარემო, ანუ განრიგი საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. განრიგის არსებობა მთლიანად მიმდინარე პროცესის ეფექტურობას უწყობს ხელს და სარგებლის მომტანია როგორც ბავშვისთვის, ასევე აღმზრდელისთვის. განრიგი საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს, ორგანიზებულს ხდის, რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს. ბავშვები მეტად დაცულად გრძნობენ თავს, აქვთ გარკვეული მოლოდინები მიმდინარე დღის მიმართ და შესაბამისად მოქმედებენ. აღმზრდელებს განრიგი ეხმარება დღის უკეთ დაგეგმვაში, დროის განაწილებაში, შესაბამისი რესურსის დროულად ორგანიზებაში და ა.შ. (აქვე ჩავსვამ ვიზუალურ განრიგსაც)

1-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის განრიგი

9:00 – 9:30 მიღება, თავისუფალი მოქმედება

9:30 – 9:40 დილის სეხვედრა

9:40-10:10 საუზმე

10:10-11:10თამაში

11:10-12:00 ეზოში თამაში

12:00-12:30 ლანჩი

12:30-13:00 თამაში

13:00-13:30 სადილი

13:30:115:30 ძილი

15:30-16:00 ვახშამი

16:00-17:00ეზო/თამაში

17:00–18:00 თამაში

18:00-19:00 საღამოს შეხვედრა/მზადება სახლისთვის, დამშვიდობება

- გარემო არის მხარდამჭერი ბავშვებისათვის:
- სივრცეები გამოყოფილია მკაფიო საზღვრებითა და მინიშნებებით
- სივრცეები ბავშვებისთვის მიმზიდველია
- ბავშვებმა იციან ტრანზიციები და საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიცია ინდივიდუალიზებულია
- გარემო და მასალები მრავალფეროვან თამაშებში ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.
- სივრცეებში ცვლილება და მასალების დამატება რეგულარულად და საჭიროებისა და მიხედვით
- განრიგში დაცულია დიდი და მცირე ჯგუფური აქტივობების ბალანსი
- ბავშვებმა იციან განრიგი, სივრცეებში საქმიანობის თავისებურებები და თანმიმდევრულად იცავენ
- განრიგი და ტრანზიციები ბავშვებს ლოდინის (არაფრის კეთების) საშუალებას არ აძლევს.

მიმდინარე დაგეგმვა

კურიკულუმი 0-2 წლ. ასაკის ბავშვებისათვის გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის ყოველკვირეულ დაგეგმვას, რომლის დროსაც აღმზრდელი პარალელურად ფიქრობს სხვადასხვა მიმართულებებზე: რა არის ჩემი ჯგუფის ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები? რა არის მთლიანი ჯგუფის საჭიროებები? კურიკულუმის რა მიზნებზე უნდა გავიდე ბავშვებთან? რა საქმიანობები/გამოწვევები უნდა შევთავაზო მათ ამ მიზნების მისაღწევად და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად? რა რესურსი მჭირდება ამისთვის? როგორ გავანაწილო დაგეგმილი საქმიანობები დღის განმავლობაში და ა.შ. ამ კითხვებიდან გამომდინარე, აღმზრდელს სჭირდება ცხრილი, რომელიც დაეხმარება ყოველივე ზემოთ თქმულის თავმოყრაში, დაეხმარება პროცესის, საკუთარი პრაქტიკის ორგანიზებაში
ამ კურიკულუმის მიხედვით, აღმზრდელი აწარმოებს გეგმას, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების, ასევე, ინდივიდუალიზაციის კომპონენტს.
შესაბამისად, ეს გულისხმობს აღმზრდელის მიერ ორი ტიპის დაგეგმვის ფორმის შევსებას: მიმდინარე გეგმა (ცხრილი1) ინდივიდუალიზაციის კომპონენტით (ცხრილი 2).

თარიღი:		თამაში მთელ ჯგუფთან:		დაკვირვება	შეფასება	დაგეგმვა
დილის შეხვედრა / საღამოს შეხვედრა	კუბურები	ხელოვნება	დრამატული			
წიგნიერება	მეცნიერება	სამაგიდო	სენსორული			

ეზო	რუტინები/ ტრანზიციები	სტრატეგიები	რესურსები			
რეფლექსია: (ამ გრაფას აღმზრდელი შეავსებს კვირის განმავლობაში)						

ცხრილი 1. ცხრილი2.

ინდივიდუალიზაცია და ინდივიდუალური გეგმა

თამაშების, სწავლის პროცესის მორგება და მოდიფიცირება აღმზრდელის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიაა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობისას. აღმზრდელმა ისე შეიძლება დაგეგმოს ცვლილებები და მოდიფიკაციები, რომ ბავშვებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს თამაში და მასალები, ან მეტი ჩართულობისთვის ინდივიდუალური დახმარება აღმოუჩინოს მათ.ინდივიდუალიზაცია შეიძლება მოიცავდეს, ბავშვის კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე, ინდივიდუალური თამაშებისა და სტრატეგიების გამოყენებას. ასევე, მცირე და დიდ ჯგუფებში მუშაობისას – ბავშვისათვის საქმიანობების ადაპტირებას: გართულების, გამარტივების ან მოდიფიცირების გზით.

ინდივიდუალიზაცია, ანუ მოდიფიცირება მორგებისთვის, გულისხმობს:
გამოწვევების შესაქმნელად ზომიერად რთული მასალების შეთავაზებას სხვა ბაშვებთან თამაშსა და კომუნიკაციაში დახმარებას ბავშვისთვის ისეთი მასალის შეთავაზებას, რაც წარმატების განცდას გაზრდის ურთიერთობის, საუბრის, ფრაზების მოდელირებას ბავშვების დაწყვილებას, დაჯგუფებას – დახმარების და ხელშეწყობის მიზნით ახალი მასალების შეთავაზებას მეტი კვლევის ხელშეწყობისთვის – კითხვების დასმას ბავშვის სენსო-მოტორულ რეაქციებზე შესაბამის რეაგირებას
ქცევითი სირთულეების თავიდან არიდებას და სირთულეების გამკლავებაში დახმარებას
ინდივიდუალიზაცია შესაძლოა იყოს დაკვირვება – შეფასების ფორმის ნაწილი, ან შეიძლება, გაკეთდეს ცალკეც.

ინდივიდუალური გეგმა

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სწავლისა და განვითრების ინდივიდუალური მიზნების და ამ მიზნების მიღწევის გზების გეგმაა, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეთანხმებულად არის შედგენილი.

შესაძლოა, ინდივიდუალური გეგმა ყველა ბავშვის შემთხვევაში არ დაიწეროს, ის უფრო ცალსახად გამოხატული საჭიროებების შემთხვევაში დგება, ხოლო ინდივიდუალიზაცია – საჭიროა უფრო მეტი ბავშვისათვის, მათი თავისებურებებისა და ინდივიდუალური ტემპის გასათვალისწინებლად .

7. დაკვირვება, რეფლექსია და შეფასება ბავშვის ინდივიდუალური პროგრესისთვის

კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაფასებლად გამოიყენება მასწავლებლის დაკვირვების ჩანაწერები და ბავშვების ნამუშევრების პორტფოლიო.

დაკვირვება და შეფასება წარმოადგენს კურიკულუმის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. დაკვირვების მიზანი: ბავშვის ინდივიდუალური და ჯგუფური თამაშის გზით გამოხატული უნარებისა და ქცევების ამოცნობა.დაკვირვების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ორი მიმართულებით: ბავშვის შესაფასებლად და კურიკულუმის დასაგეგმად.

დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები:

ჩანაწერები (შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერი, ჟურნალი, რეფლექსური დღიური), კითხვარები (ჩეკლისტები, რეიტინგული სკალები), ცხრილები (მონაწილეობის ცხრილი, სიხშირეების დათვლა, დროის გაზომვა), ბავშვების ნამუშევრები (მაგ. ნიმუშები, ნახატები), ფოტოსურათები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები. აღმზრდელებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ მშობლებთან ინტერვიუ მონაცემების შესაგროვებლად.

- დაკვირვების საგანი: ბავშვის ქცევა, ინტერაქცია თანატოლებთან და ზრდასრულთან, მოძრაობითი, ენობრივი და კოგნიტური გამოვლინებები თამაშის დროს.
- აღმზრდელი სისტემატურად აკვირდება ბავშვის ქცევებს, თამაშს, ინიციატივებს, ემოციურ გამოხატვებსა და ახალი უნარების გამოჩენას. დაკვირვება ხორციელდება ყოველდღიურად როგორც თავისუფალი თამაშისას, ისე მიზნობრივი აქტივობების დროს,რუტინისა და გადსვლების პროცესში.

ჩანიშვნა და დოკუმენტირება

მომხდარი დაკვირვება აღიწერება პორტფოლიოში ან რეფლექსურ დღიურში, რაც მოიცავს დაკვირვების ობიექტურ ჩანაწერებს, ბავშვების ნამუშევრებს, ფოტო / ვიდეო /აუდიო მასალიების საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია(მშობლის თანხმობის შემთხვევაში)

ანალიზი/რეფლექსია

აღმზრდელი პერიოდულად აფასებს დაკვირვებების საფუძველზე ბავშვის

ინდივიდუალურ პროგრესს და ადგენს მიზნობრივ გეგმებს კონკრეტული მიმართულებით განვითარებისთვის.

ინფორმაციის გაზიარება

საბოლოოდ, პორტფოლიოში თავმოყრილი დაკვირვების მონაცემები ბაღისა და ოჯახის კომუნიკაციის თემა ხდება.
დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაზიარება,მშობლებთან (ოჯახის წევრთან)ყოველდღიური ურთიერთობის დროს ხდება. მაგრამ, გარდა ამისა, აუცილებელია, ფორმალური ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებაც, სადაც ვერბალური და წერილობითი ინფორმაციის სისტემური, პერიოდული გაზიარება მოხდება , მოისმენენ ინფორმაციას მშობლისგან და იმსჯელებენ ბავშვების განვითარების, მიღწევების და სამომავლო გეგმების შესახებ. ამისათვის გამოვიყენებთ შეფასებითი პორტფოლიოს წელიწადში 2-ჯერ.

8. კურიკულუმის ეფექტიანობის ინდიკატორები

კურიკულუმის ეფექტიანობის შეფასება ხელს უწყობს დაწესებულებას, რეგულარულად და ობიექტურად შეაფასოს, რამდენად პასუხობს არსებული პრაქტიკა კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, პრინციპებსა და სტანდარტებს.

1. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.
2. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.
3. კურიკულუმის შეფასებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი/
4. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება:

   ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას:

   ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას;

   გ) მშობლების უკუკავშირს;

   დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;

   ე) შიდა მონიტორინგს.

დასკვნა

კურიკულუმი შეესაბამება ბავშვის განვითარების ჰოლისტური მხარდაჭერის პრინციპებს და ხელს უწყობს 1-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვების დამოუკიდებელი, უსაფრთხო და შემოქმედებითი გარემოს შექმნას. პროგრამა აგებულია ბავშვის ინტერესებსა და შემეცნებით განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიებით და მხარს უჭერს ოჯახის აქტიურ ჩართულობას. კურიკულუმი თანხვედრაშია ქვეყნის კანონმდებლობასთან:

- საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ"
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები
- ადრეულ ასაკში აღზრდისა და განვითარების სტანდარტები

გამოყენებული ლიტერატურა

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში(2020), საქართველოს განათლების სამინისტრო.
- ბავშვის განვითარება 1-დან 3 წლამდე. საქართველოს განათლების სამინისტრო. პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით.
- თემატური მიმართულებები ადრეული განათლების დაწესებულებებში.
- პრაქტიკული სახელმძღვანელო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების აღმზრდელ-პედაგოგებისათვის.

კურიკულუმის შედგენაზე იმუშავეს შპს„ ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ საავტორიზაციო კომისიის ჯგუფის წევრებმა ელზა

უდესიანმა და ირინე ქირიამ.